


# დემოკრატია და სოციალიზმი



„Насаждение“ демократии. დემოკრატიის „დასერგვა“.

№ 25

1920 წ.  
მაისის 9



Русско-турецкие „коммунисты“ всюду „насаждают“ демократию.  
რუს-ოსმალთ „კომუნისტები“ ყველგან „ჰნერგავენ“ დემოკრატიას.



# „წითელი აზერბაიჯანი.“

ალი ჰუსეინ ქებაზ-ოღლი, ყველასაგან პატივსაცემი და მოწინავე შეგნებული მუშა: 1918 წლის ენკენისთვეში, როგორც თითონ ალი ამბობს ხუმრობით, „ხუთ-ნახევარი“ სომეხი მოუკლავს. ხუთ-ნახევარი მიტომ რომ ამათგან 4 სრულ წლოვანი ყოფილა, ხოლო 3—ბავშვი, და ვინაიდან თითო ბავშვს ნახევარ სომხათ სთვლის, სამთავე ბავშვს ერთ-ნახევარ სომხათ ანგარიშობს.

— ამისთანა შესმენილი და განვითარებული პარტიის წევრი რომ ბლომათ გვყავდეს, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვებაო!—ამბობდა შარშან ალი ქებაზ-ოღლისთვის მუსავატის ლიდერი რასულ-ზადე.

გასულ 1919 წლის გიორგობისთვეში ალი ჰუსეინ ქებაზ-ოღლის დიდი სულიერი განსაცდელი შეემთხვა.

სალამო უამი იყო. ალი ბიბიეიბათის ყავახანაში იჯდა ფეხ-შორთხებით და ნარგილეს ეწეოდა. უცებ კარები გაიღო და შემოვიდა ისკანდერ რიზა ქიშიშ-ოღლი, სალამი მისცა ყველას და შემდეგ ალის მიუბრუნდა.

-- შენთან საქმე მაქვს, ალი-ჯან!—უთხრა მან ალის და გვერდით მოუჯდა. შემდეგი ბაასი ჩურჩულით სწარმოებდა.

— შენ „მუსავატის“ წევრი ხარ!—დაიწყა ისკანდერმა.

— დიახ!—უპასუხა ალიმ.

— თვეში ორასი თუმანი გაქვს, — განაგრძო პირველმა.

— დიახ!—გაიმეორა ალიმ.

— ორასი თუმანი გირჩევენია, თუ სამასი?

— ვფიცავ ალლაჰსა, რომ სამასი თუმანი მირჩევენია!

— მართალს ამბობ?

— ღორიშვილი ვიყო, თუ გატყუებდე!

— მაშ გადმოდი „იტხადის“ პარტიაში!

სიჩუმე ჩამოვარდა. ისკანდერმა თვალი თვალში გაუყარა ალის და როცა უკანასკნელმა ვეღარ გაუძლო და თვალი ძირს დაუშვა, ადგა და წავიდა.

— ხვალ ამ დროს, აქვე, გადაჭრილ პასუხს ველი, — მოაძახა ისკანდერმა კარში გასვლისას.

აქედან დაიწყა ალი ჰუსეინ ქებაზ-ოღლის სულიერი ტანჯვა.

ვინ არ იცის, რა საზარელ ზნეობრივ წამებასთანაა დაკავშირებული რწმენისა და მსოფლ-მხედველობის შეცვლის პროცესი. საკმაოა მოვიგონოთ

ის აუწერელი სულიერი ტანჯვა, რომელიც გამოსცადეს ბელინსკიმ, გოგოლმა და ჩვენმა თანამემამულემ თედო ღლონტმა, განსაკუთრებით კი უკანასკნელმა, ჯერ გაფედერალისტების, ხოლო შემდეგ გაბალშევიკების დროს, და ჩვენს წინაშე აშკარათ დადგება ის სულიერი ქარიშხალისი, ქებაზ-ოღლის გულში რომ დატრიალდა ისკანდერ ქიშიშ-ოღლის წინადადების შემდეგ.

ალი ჰუსეინ ქებაზ-ოღლი მაშინვე რასულ-ზადესთან წავიდა.

— სამას თუმანს მეც გაძლევ!—უთხრა რასულ-ზადემ.

ალი დაიბნა. სულიერი ტანჯვა განელების მაგიერ უფრო გაუძლიერდა.

— ვნახოთ, ისკანდერ ქიშიშ-ოღლიმ მეტი მომცა! — იფიქრა ალიმ და ისკანდერთან წავიდა.

— ოთხას თუმანს გაძლევ!—უთხრა ისკანდერმა.

ამას შემდეგ კიდევ სამ სამ ჯერ იყო ალი ქებაზ-ოღლი რასულ-ზადესა და ისკანდერ ქიშიშ-ოღლისთან და ბოლოს 7 ათასამდე აიყვანა თვიური ჯამაგირი.

მაშინ პარტიული ძიების ტანჯვა დაუცხრა და ალი ქებაზ-ოღლიმ შეურყეველად იწაშა „იტხადის“ კომუნისტური იდეები.

ამა წლის მარტის დამლევს ალი ზანგეზურში გაიგზავნა პარტიის მიერ.

აქ მან უფრო გააღრმავა თავისი სოციალისტური შეგნება და იმ ოთხ-ნახევარ სომეხს 5 და ერთი მეოთხედი მიუმატა: 4 ჩვეულებრივი და ერთი ორსული ქალი (მუცლის ბავშვი 1/4-ათ ითვლებოდა)

აპრილში ქებაზ-ოღლი ისევ ბაქოში გაიწვია პარტიაში, რადგან მოწინავე ამხანაგები საქირონი იყვნენ სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ.

აპრილის 28-ს ალი ჰუსეინ ქებაზ-ოღლიმ თავის ამხანაგებთან ერთად სოციალური რევოლიუცია მოახდინა ბაქოში, ხოლო 29-დღით ალი ჰუსეინ ქებაზ-ოღლი, ფილიპე მახარაძე და კუზმა გრომილინი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გამოვიდნენ პარაბეტზე და მქუხარე ხმით დასძახეს:

— იაშასუნ ყირმიზ აზერბაიჯან!

ესე იგი.

— გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანსო!

ახლა ალი, ფილიპე და კუზმა ყარაბახს მიდიან სოციალიზმის შესატანათ, ხოლო შემდეგ საქართველოში შემოაწათებენ წითლად.

ღმერთო! მალე მოგვასწარ ამ დღეს!

თავუნა.



# შექანჯალებულის ლექსები.

## I.

აქარა და ქობულეთი  
წყავროკა და ბაილეთი,  
ჩაქვის თავი, ციხის ძირი,  
აქარლებო, თქვენზე ძვირი  
თუ ვსთქვა, მომტყდეს ძირში ცხვირი—  
მხოლოდ მუდამ იმას ვსტირი,  
გქონდეს ძმებო ერთი პირი,  
თუმცა ბევრი გიაღერსებს,  
გიმღერიან მხიბლავ ლექსებს,  
საქმით გულში გცემენ ნემსებს,  
გარს გახვევენ მტრები ქსელებს,  
რატომ ვერ ცნობთ მუხამავ გველებს,  
რომ გიღერენ მმუსრავ ცულებს...  
**ძმებო,** ჩვენ გამოწვდილ ხელებს  
თქვენც ხელები მოაგებეთ,  
გულში **ძმობა** გაამეფეთ,  
ძმობა დავსვათ ზიარ მეფედ,  
ჩვენთან ცრემლიც ააჩქეფეთ,  
ჩვენთან შევბაც გაიყავით,  
ქართველნი ხართ, და იყავით,  
უკუღმართ დროს გაგვეყავით,  
შეგაყვარეს თქვენ მაჰმადი,  
მოლა ჯამე, მასთან, ყალი,  
შინც დარჩით თქვენ ქართველად,  
ის ხართ, რაც იყავით ძველად,  
სჯული სხვა გვაქვს, ენა-ერთი,  
**თქვენ მაჰმადი,** ჩვენ-კი ღმერთი  
აბა რა გვაქვს გასაყოფი,  
რა გვაქვს აქ უარ საყოფი?!  
**დაე, გწამდეთ ძმავ მაჰმადი,**  
მოლა-ისკანდერ, და ყალი,  
თუ გსურს, ჯამეზედაც ალი,  
სქამე ერბო, ყაიმალი,  
რამდენიც გსურდეთ-იალი!  
ღვინო-ძირს! სვით წყალი, სველი  
თუ არ გეტკინოთ მუცელი..  
რაც გინდოდეთ, იგი სქამეთ,  
როგორც გსურდეთ, გულს აამეთ,  
გყავდეთ მოლა, გქონდეთ ჯამე,  
ილოცეთ სულ, დღე და ღამე,  
ოღონდ გწამდეთ, ხართ ქართველი,  
სასახელო, ძველის ძველი,  
მაშ, შევერთდეთ, მოგვეც ხელი,  
მე—ლორი, შენ—ერბო-ყველი,  
თქმულეება ერთობ ბრძნული:  
„გულს მონახავს მსგავსი გული,“  
„წყალი გაივლის ნაწყლურში,“  
ეს ხომ გეყურებათ ყურში?  
პრასას ვაცვლი ნიხურში,  
სვირულ ღვინოს კი—კახურში.

## II.

ჰერი, ბიკო, ჰერი, ჰერი,  
წადილი და სეფისკვერი,  
ღვდლებმა გაიბარსეს წვერი,  
(მებრალემა, რო ვუცქერი)...  
თფუ! ახალ დროს, ზიზღი, ფურთხი,  
როგორ მოსპო თლად საკურთხი,  
ნათვლა, ქელები, ალაპი,  
მღვდლებმა დღეს რას უქნან ყლაპი.  
— სქამონ მარტო გოგრა—ხაპი?!  
მიტომც იშიშვლეს ნიკაპი,  
გაიხადეს ანაფორა,  
და მიაგდეს განზე შორა...  
მაგრამ ღვდლები დღეს არ სცბრება,  
სდგება **მორწმუნეთა წყება,**  
**ახალი ხანა იწყება.**  
მორწმუნე ქალთ კომიტეტი,  
შესდგა... რაღა გვინდა მეტრი...  
ლეონიდ სწერს **მოწოდებას...**  
(ღერეთო, მწამს ამ შეცოდებას  
შემინდობ და მაპატიებ,  
ჯოჯოხეთში არ დამტოვებ)  
და-ჰა, აგი მოწოდება,  
საქართველოს მოედება,  
და მოივლის კილით-კიდე,  
და ჩვენ, ვნახავთ, მალე, კიდე,  
(ამას შესძლებს ლეონიდე)  
ღვდლები წვერებს იგრძელებდნენ,  
მკვდარ-ცოცხალს ადღეგრძელებდნენ,  
კვლავ იცვამდენ ანაფორას,  
და ჯვარს სწერდენ ნიშფორას.  
სქამდენ საკურთხს, სეფისკვერებს,  
ივარცხნიდენ ზანტად წვერებს,  
აბა, **საკურთხს,** აბა **ნათვლას,**  
ნახავთ, ვერ ასწრებდნენ დათვლას...  
ქალნო! გიწვევთ ლეონიდე  
არ იქნება, არ მიხვიდეთ.  
სარწმუნოებას გზა-ხიდათ  
გაედეთ და გაეხიდათ,  
სარწმუნოება ამაგრეთ..“  
„აი, ეგრე, აი, მაგრე...“

## III.

ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..  
ჰე, ჰე, ჰე, ჰე, ჰე, ჰე, ჰე, ჰე!  
ცხვირი მსხვილ ბოძს შევახებე...  
დიპტი, პიტომ... ია, ჰუა...  
მიფათქუნებს თავში ჰუა...  
მე ეხლა **ჰიმნს აზიელებს**  
ვუმღერ ჩვენს **გიმნაზიელებს,**  
მიყვარს ძლიერ მე ისინი,  
იმათაც **ჰეკუის ლიტინი**  
ჩემებრ გვემავს, ჩემებრ სტანჯავს,

ნეტავი მათ—რა გრებს, ჰპანკავს,  
მათაც, ჩემებრ ჭკუა-ჩალებს.  
თავში უქრით, უქანჯალებთ,  
მათი შიშით საწყალ ქალებს,  
ზარ დაცემულთ და ფერ მკრთალებს,  
ლღე და ლამე აკანკალებს,  
ვერ გაუვლიათ ქუჩებში,  
მოუნდოებენ... ტუჩებში,  
ან და... რომ მოსტაცონ **ბანტი**  
ან, საღმე გამოსდონ კვანტი,  
თუთუნს ძგნაბენ, აბოლებენ,  
ჰაერს კვამლით აბნელებენ,  
მკლავს ქვეშ წაგნებ ამოჩრილინი,  
სიზარმაცეში შექრილინი,  
**ზიზღს უთვლიან გაკვეთალებს,**  
ვსტევათ, თუ ვინმე გააფრთხილებს,  
აჩვენებენ ყველა კბილებს,  
და საცოდავ მასწავლებლებს,  
მათ საჩანჯავ-საწვალბლებს,  
ცხვირი ჯავრით დაუგრძელდათ,  
და სიცოცხლე გაუძნელდათ...  
მათთან შრომა, გაკვეთილი,—  
—ჯოჯობეთი და სიკვდილი...  
ზოგი ვაჭრობს, ზოგი ჩარჩობს,  
ზოგი ღვინოს ყანწში ახრჩობს,  
ზოგი კობტაობს და ფრანტობს,  
ზოგიც კიდევ—სპექულიანტობს...  
ზოგი კეკლუცებთან ნაზობს,  
ცულლუტობს და ოინბაზობს...  
**დღეს ძმებო, ჭკვა ჩალად ფასობს.**  
წიგნში თვალეებს არცინ ასობს,  
დღეს ცხოვრებს ვინც შეიგნებს,  
მეწყერში გაღისერის წიგნებს,  
აბა, მომყეთ: დიპტი, პიტომ!!  
ვანომ, სანდრომ. თედომ, მიტომ,  
კოლამ, ლადომ, გოგლამ დიტომ,  
(ნინამ, ლოლამ, თეკლემ, პიტომ.)  
გიომ, პეტრემ და კაპიტომ,  
დავსცხოთ ქუჩებში დავლური,  
ხოშიანი და ველური,  
ვიტრიალოთ, ვიღრიალოთ,  
როგორც მენი, ვიგრიალოთ  
ვიყაყანოთ, დავიყვიროთ,  
თლად ქვეყანა გავაკვიროთ,—  
დიპტი პიტომ, დაფთი, დაფთი,  
გადავისხათ თავზე ნავთი,  
უცებ ცეცხლი წავიკიდოთ  
და ერთმანეთს გავეკიდოთ,  
თავზე თმები ვაშიშხინოთ,  
რომ სულ ყველა შევაშინოთ...  
ჰეი, ჰეი, ია, ჰუა,  
—რავექნათ, თუ კი მტკივა ჭკუა?

## IV.

დიპტი პიტომ, დიპტი... პიტომ.  
დიპტი... პიტომ. დუშტი, დუშტი...  
ვიყვით მწყრალი, ვიყვით კუშტი...  
და მტრებს გაუხეთქოთ ბუშტი...  
აბა, დავსცხოთ ძმებო მარში!  
ჯარში ყველამ, ყველამ ჯარში,  
ჩაუსაფრღეთ მტერს მთა-ბარში,  
ამოუდგეთ ერთ-ერთს მხარში,  
სახლში, გარეთ, შინ და კარში,  
და ის მუშტი ჯავშნიანი,  
მოლაღატე, ავშნიანი  
საზღვრებზე რომ მოგვაბჯინეს,  
ვერაღის ვერ შეაშინებს;  
ჩვენი მტრები, ჰა, სისინებს!  
ფრთხილად, ნურვინ დაიძინებს!  
და მტრებიც ვერ გაიძინებს..  
დღე, შეგვზღუდონ ეკალ-ქაცვით,  
**განთქმული ვართ ჩვენ თავდაცვით**  
**მისვე ცეცხლში ბეკრი დავწვით,**  
ვინც ჩვენ გვიპირებდა დაწვას  
**იუდა ჯვარს ვინ არ აცვას,**  
**გაუმარჯოს ჩვენ თავდაცვას!!**  
**ჩვენი შეჭმა ვის არ სურდა,**  
ბოლშევიკებს სჩანს შეშურდა,  
მტრებმა რომ ვეღარ გავგქურდა.  
**ნა ისტერსან უარდაშ, ბურდა?!**  
**ტვინი რომ არ გავიხურდა?!**  
**დაგავიწყდა ოჩხამური?**  
რომ გაქამეს ნიახური;  
გაიხსენე მაშ **ჩოლოქი,**  
რომ ეყარეთ ვით **ბოლოკი?**  
რუსი-ოსმან, იოხ-ყარდაში,  
ჩხუბი მოგივათ თქვენ გზაში...  
დღეს მე ხახვით ვეპმე ქაში...  
არ მომკიდოთ ხელი რქაში!!..

## V.

ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა...  
ვიცი მომკლავს ეს სიცილი...  
ამიჯანყდა **შებრეკილი**  
**რბილზე უნდა გამკრას კბილი,**  
ეწვის ზურგი განხილი,  
მიტომ ვასტეხია ძილი,  
აღბად უხურს თავში ფქვილი,  
ყველგან ყვავის დღეს ხეხილი.  
**ხათაბალამ შვა მათრახნი,**  
**მათრახმა შვა ხათაბალა,**  
ერთი იყო წმინდა რახნი,  
მეორე კი არის ჩალა,  
მაგრამ ბიჭო მაჩანჩალა,  
ჩემო ძმაო **შებრეკილო...**  
ვინ გიძღვნა ეს **ხებრე-კილო,**  
რათ იწყე თავის აგდება,

რას როშავ, რა გელანდება,  
 გსურს მკვდრის ზურგზე აკიდება?  
 ის მაინც არ გაცოცხლდება.  
 ძმაო მათრახ-ხათაბალა,  
 შეპრეკილო მაჩანჩალა,  
 სთქვით, ხელი ვინ შეგიშალა!  
 თქვენ სიცოცხლის არ გაქვთ ძალა.  
**მიტომ გტკივთ თავის ქალა.**  
 ვინ არს თქვენზე შენაჩენი!!  
 თუ გწამს ღმერთი და გამჩენი,  
 მტრობა არ გვაქვს ძმაო, თქვენი,  
 (ცილი გვწამე შესარცხვენი)  
 გწამდეს თქვენი მოვლინება,  
 (რადგანც თეოფილს ენება)  
 გეტყვით არც მეტს, და არც ნაკლებს,  
 ვერც რას გვმატებს, ვერც რას გვაკლებს,  
 თუმც ალგიტკვი დახმარება,  
 (მახსოვს თქვენი ახსარება)  
 კეტს თქვენგანი ვერვის სდრუზებს,  
 მტრებს ვერც კი აუფრენტ ბუზებს.  
 არ გაქვთ თქვენ ამის იმაჟღისი,  
 სულ რომ აღარ გიფეთქთ პულსი;  
 ვალი არის ძმანო ჩვენი,  
 თუ ავთამყოფს მოსარჩენი  
 პირი არ აქვს და კვდებოდეს,  
 ჰხამს მოყვრებმაც ეს იცოდეს,  
 რომ არ ხარჯოს ტყულ-უბრალოთ,  
 და ქალაღლიც შეიბრალოთ,  
**წრომის გვერგას—არის ახი,**  
**აქ რა არის დასაძრახი;**  
**პროვოკაციას ეწვეით,**  
 დაგსჯით თქვენ ყურის აწვეით  
 რას პეტელობთ, როგორც კრავი.  
 რესპუბლიკა გვაქვს სახრავი?  
 ღმერთმა მთხოვა თქვენი თავი!!..  
 რატომ ჭყავით ვით კატები,  
 ჩვენ ვართ არისტოკრატები?!  
 არა, ძმაო, შეპრეკილო,  
 უკუყო და ხეპრე კილო,  
 რა გაცქმუტებს, რა გაწუხებს.  
 აწი აღარ გიბასუხებს  
 გწამდეს შექანჯალებული,  
 დაიმშვიდეთ ძმანო გული,  
 რომ ცუდს ჩვენ-თქვენ არ გიბირებთ,  
 მოკვდებით, და კვლავ გიტირებთ.  
**შექანჯალებული.**

**უძილო ღამე.**

მოსკოვის მხატვრულ თეატრის გასტროლებით  
 ქანც გაწვეტილმა დღის სრულ ორ საათზე და-  
 ვიძინე და ღამის თორმეტ საათზე გამოძვივია.  
 დასაძინებლად, როცა ეს დღისით უნდა მოხდეს,

ამხანაგებთან მივდივარ. რასაკვირველია-უცლოლ-  
 ლო ამხანაგებთან, უმთავრესად კი უშვილოებთან,  
 რადგანაც ამხანაგის ცოლს საზოგადოთ ძილის  
 დაფრთხობაში იმდენი ბრალი არ უძევს, როგორც  
 ამ აბეზარ ბავშვებს, რომელთაც მე სახლში მოს-  
 ვენების საშვალევა წამართვეს.

გამომეღვიძა. ვხედავ: ბნელა. უპ, უკვე მოსა-  
 ღამოვებულა, რამდენი მძინებია, დასწყევლოს  
 ღმერთმა, ვსთქვი, ტანთ ჩაეცვი და ბინისაყენ  
 გამოვეჩქარე. დანაღვილებით არ ვიცოდი, რა დრო  
 იყო, ვინაიდან საათი სახლში დამჩნა, ვარაუდით  
 კი, ასე საღამოს რვა საათი შეგონა. მოვდივარ,  
 ქუჩებში რაღაც სიწყნარეა, არაჩვეულებრივი სი-  
 წყნარე; ვვირობ, თავს ვეკითხებო:

— რაშია საქმე?.. ნუთუ ბოლშევიკები მოვიდ-  
 ნენ?... მაგრამ ასეთი სიწყნარე რით აიხსნება?...  
 ისინი ასე წყნარად მხოლოდ ბაქოში შემოვიდნენ.  
 მაგრამ... იქ ხომ ლალატი იყო... და... ვაი... თუ  
 აქაც ლალატი გამოცხვა. მაგრამ რას ვამბობ. ეს  
 რა სისულელე მომივიდა. ჩვენი მთავრიბა და ლა-  
 ლატი? ეს არ შეიძლება, მაშ, რაშია საქმე... ვერ  
 მივხვდარვარ... მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკი-  
 ვა... გავიფიქრე მე და ჯიბიდან ჩემი პარტიული  
 წიგნაკი ამოვაცოცე, ვინ იცის... მართლაც რომ...  
 მოვიმარჯვე ხელში და ის იყო, უნდა გადამესრო-  
 ლა შორს... მაგრამ ამ დროს შემომესმა: „რას  
 შერები, ბიჭო, ასე უცებ პარტიული credo--ს  
 უარის ყოფა, პრინციპების დალატი, შენ ხომ  
 მარტის სოციალისტი არა ხარ? ჰეი! შეგარცხვინა  
 ღმერთმა! ძველისოციალისტი.

აფსუს! აფსუს... ბიჭოს! ეს ვინ მამხილებს, მი-  
 მოვიხედე, ირგვლივ არავინ არის... აჰაა! მივხვდი  
 ეს თურმე ჩემი სულის წყეული ღრეული მამხი-  
 ლებდა... მე შემრცხვა, ესეიგი, მე კი არა, სუ-  
 ლის პირველს და წიგნაკი უბეში ჩავიდე... თავს  
 ვეკითხები ისევ: მაშ, რაშია საქმე, ამ ცოტა ხანში  
 რა უნდა მომხდარიყო ისეთი?

— არც ისეთი ცოტა ხანი გძინებია, დღის ორ  
 საათიდან ღამის თორმეტამდი ათი საათი გახლავს,  
 ათი საათი ამ ელექტროს ხანაში საკმარისია, რომ  
 ერთმა სახელმწიფომ მეორე დაიპყროს, საშინელი  
 შეტაკებანი და დაბრკოლებანი გადალახოს, რო-  
 გორც ეს ბაქოში მოხდა, მაგრამ შენი შიში მაინც  
 უსაფუძვლოა ძმაო!.. მომახალა კვლავ სულის  
 ღრეულმა.. შემრცხვა, ესეიგი შერცხვა მას, სულის  
**პირვეულს, მე კი, როგორც ასეთი აქ არაფერ**  
**შუაში ვარ, ყოველთვის მომრიგებელის როლს**  
**ეთამაშობ, როცა ისინი: სულის აირველი და მე-**  
**ორე იბრძვიან... ამ შემთხვევაშიაც ასე მოვიქცი**  
**მოიცათ! აგერ მეგაზეთის ვკითხობ, გამოირკვევა,**  
**რაშია არის საქმე, დავამშვიდე მე ორივე და**  
**ბელინსკის ქუჩის ბოლოში ჩასაფრებულ გაზეთის**  
**გამყიდველს ვკითხე.**

— რაშია, ამხანაგო საქმე, ხალხი რატომ არსად სჩანს, რამ შეაშინათ?!

— არაფერმა ბატონო, გვიანია, ხალხი თეატრებიდან უკვე წავიდ-წამოვიდა, ასე, ღამის პირველი საათი დაწყებული იქნება, თუ მეტი არა!

— აჰაააა! დასწყევლოს ღმერთა, თურმე რაშია საქმე, მე კი რა ვიფიქრე, ვამბობ ამას ჩემთვის... აჰაააა! კიდევ გავაგრძელებ მე ეს მხიარული აჰააა! და ფული ამოვიღე: მაშ, მომეცით „ერთობა“ და „სახალხო ფურცელიც“.

— „სახალხო“? შემიკითხა კვლავ მეგავნეთე.

— დიახ, „სახალხოც“, ვუპასუხე... „სახალხო“ ყოველთვის ვყიდულობ, როცა კარგს გუნებაზე ვარ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ვუძღვებ მე მის წაკითხვას.

გადავეცი თუშანი და სახლისაკენ წამოსასვლელად მოვემზადე, რომ მეგავნეთემ მომადახა:

მოითმინეთ, ხურდა გერგებათ, ოთხი მანეთი!

— თქვენი მალარინი იყოს ძმაო (მე ასეთ შემთხვევებში მალარინიც ვიცი), მუშა ხარ, მშრომელი, ლუკმისთვის წელეზე ფეხს იდგამ... მან ექვის თვალთ გამომისტუმრა, ალბად თუ ბალშევიკი ვეგონე. მოვედი სახლში, ჩემს მეუღლეს სანთელი ჩაექრო და კარი ღრიჯოთ დაეტოვებია. ის ამას ყოველთვის ასე მერება, ეზარება კარების გაღებისთვის გაღვიძება და ზეზე ადგომა; მეც მებარება დიდხანს კარებთან ცდა და ბრახუნი და ამატომ არც მე ვარ წინააღმდეგი კარების ღიათ დატოვების... ერთმანეთის დალატის შიში არ გვაქვს და ვენდობით ერთმანეთს, როგორც ასეთს... შემოვედი, ავანთეღლაშა, ის, მეუღლე, ერთი კი გაიზორა და ისევ ძილს მიეცა... გაზეთების კითხვას შეუდექი; ვკითხულობ სახალხოს მოწინავეს; თედო ღლონტი „ფურცლებს“ „მუშების და სამშობლოს“ სადაც იგი თავ-გაპოლდებით აყვარებს სამშობლოს საქართველოს ყვითელ მუშებს, და თავდაცვისათვის მოუწოდებს, ვკითხულობ „ერთობაში“ საგანგებო რაზმის შესახებ წერილებს, რამაც ეს რაზმი ძლიერ შემაყვარა... მართალია, სადაც თავდაცვა არის საქირო შინაურ მტრებისაგან, იქ საგანგებო რაზმი უაღრესად პატრიოტიულ საქმეს აკეთებს, წამოვიძახე აღვლევებით, რამაც ცოლშვილი გამოაღვიძა, ასტეხეს ერთი კრუსუნი და მთქნარება...

— ბეჩა, კიდევ არ დაწოლილხარ?, შემიკითხა მეუღლე.

— გაზეთებს ვკითხულობ, მიუგე მე...

— გაზეთებს განა ხვალ ვერ წაიკითხავ, რაზედ სტებ დამეს?

— ჰმ! ხვალე! ამ ხვალემ დავვლუბა ჩვენ, ბრაზმორეულმა წამოვიძახე, ვინ იცის, რამდენით წინ ვიქნებოდით ჩვენ, რომ ქართველის ბუნებაში ეს ხვალე არ იყოს გამჯდარი, რაც დღეს უნდა გაკე-

თდეს, ის ხვალემ უნდა დაასამაროს, ხვალემ უნდა ჩაჰკლას და ჩაყლაპოს... ხვალე კი არა, ის არ გინდა! ასეთი რთული მომენტი და ხვალე გადადევნი გაზეთების წაკითხვა, შენმა მზემ, აი, ვცხარობ მე... მაგრამ ეს ჩემ კნენინას არ გაუგონია, იმან ღრმად დასძინებოდა.

ჰმ! ამაზე უკეთეს დროს სად ვიშოვნი კითხვისა და წერისათვის: ცოლს სძინავს, შვილს სძინავს. მაგათ რაუთხრა მე. რამდენი დიდებული ნაწარმოები მექნებოდა ახლა შექმნილი, თუ მეტი არა ფუტურისტი მაინც ვიქნებოდი რომ ეგენი არ...

ღმერთო შეგცოდნე, ეს რა ვსთქვი, ტუჩზე ხელის რტყმით წარმოგხსთქვი და საყვედურები შევსწყვიტე...

ამ დროს მქისე ხმით შეტირა ბავშვმა, მივედიოთ აკვანთან, გვინდა გავიგოთ, რამ აატირა ასე მწარედ, ბავშვი, ვერაფერი ვერ გავიგეთ, შემდეგ გამოვსთქვით ის აზრი, რომ ბალლინჯო უქებნდა მაგრამ, ეხლა სად გაჰქრა ის წყეული.

— ბალლინჯოები შამოგვეჩვია?— ვკითხე.

— აბა, აბა, ბეჩა, ჩვენს ოთახშიც გაჩნდნენ...

— რამე ზომები უნდა მივიღოთ, გადავსწყვიტე მე. წავედ-წამოვედით ოთახში, ისინი ისევ ძილს მიეცენ, მე კვლავ კითხვას შეუდექი, საგანგებო რაზმის ირგვლივ ატეხილ წერილებს ვკითხულობ. უცებ თავში გამიელვა: მართლაც და რომ აუცილებელია ეს საგანგებო რაზმი, ნეტავი რამე, საგანგებო რაზმის მაგვარი მოეწყობოდეს ჩვენ ოთახში, რომ ეს ბალლინჯოები, სანამდი გვიკებნდნენ, შეგვატყობინებდნენ, მოგვაშორებდნენ, ან მოჰკლავდნენ. ვინ იცის, რამდენ ბალლინჯოს ააშორებს ჩვენს რესპუბლიკას ეს საგანგებო რაზმი.

— არა, ეს აუცილებელია, უნდა მიიღონ ისევ... წამოვიყვირე მე. მეუღლეს გამოელვადა...

— რა უნდა მიიღონ კაცო, რა გაყვირებს, კიდევ არ გძინავს?

— რა უნდა მიიღონ და ვარლამ სარდონიძე ჯავახიშვილი ისევ უნდა მიიღონ დასახიჩრებულთა კომიტეტის წევრად, ის, როგორც საგანგებო რაზმის წევრი საქიროა ჩვენი ქვეყნის ბალლინჯოების შესამუსრად.

— ნეტავი შენ ერთი, ბალლინჯოები აქ, ოთახში არ გვქამდეს, თორემ სხვას არას ვჩივი, ამით უხერხოთ რამე, რომ არ გვაძინებენ...

— არა, რას გაიღებდი ბოშო, რომ მართლაც ვინმე ამ ბალლინჯოებს მოგვაშორებდეს? შევეკითხე მე.

— რას გაიღებდი და, ყველაფერს, რაც კი მაქვს, ოღონდ ერთი თავისუფლად დავიძინო.

— დიახ, დიახ, საქმეც სწორედ, მაგაშია, მშვიდობიანი ძილი! აი, სწორედ ამისათვის არის საქირო საგანგებო რაზმი გამარჯვებული ხმის კოლოთი ვუპასუხე მეუღლეს.

— კაცო, ხომ არ გაგიყდი, რა შუაში არის აქ საგანგებო რაზმი, რა საქმე აქვს ჩვენს ბაღლინ-ჯოგებთან მას, ვაკვირვებით მიპასუხა სარეცელიდან ნახევრად მძინარე თებრონემ (ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენხანს არ გავაცნით ჩემი შეუღლე).

— დაიძინე, დაიძინე, შენ რას მიხედვები, მივაძახე, რაკი შევტყვევ რომ ძნელი იყო მისი გამოფხილვება. ამ დროს, ჩემმა ბიჭიკომ თავის პაწაწა „კრაოტის“ კამარებს ფხებები მაგრად მიამჯინა, ტირილით და ბუზღუნით დაიწყა აქეთ იქით ტრილი...

— ბენა, ვუყუდივით ამ ბავშვს ერთი „კრაოტი“, ხომ ხედავ რომ შიგ ვერ თავსდება, გაიზარდა! მომმართა თებრონემ, რომელიც ბავშვის ტირილმა გაჰაღვია.

— გაიზარდა და—ღაერთმა გაზარდოს, მეც ეს მინდა!

— დღამშვიდობისა, მითხრა მან, (მართლაც შემომთენებოდა თითქმის, დილა იწყებოდა), კი გაიზარდოს, მაგრამ, ხომ ხედავ, როგორ ვიწროთ წევს, ბავშვის ორგანიზმის თავისუფლად განვითარებისათვის თავისუფლება და დიდი კრაოტია საჭირო, ხომ ხედავ, როგორ ებრძვის ბავშვი შემაღვიწროებელ „კრაოტის“ კამარებს ხელ-ფხებით?

— იბრძვის და ებრძოლოს, არა უშავს, გამოიწვრთნება, აქედან შეეჩვევა დაბრკოლებებთან ბრძოლას... ამ დროს გაზეთში ვკითხულობ: „ჩვენ არავის არ ვუშლით, არც სხვის ტერიტორიაში ვიჭრებით, ნურც ჩვენ გვეჭრებიან, მოვგვენ ჩვენი ეროვნული ორგანიზმის განვითარების საშუალება და სხვა“... ამ სიტყვებმა, ანალოგია, მსგავსება მომაგონეს ჩემი ბავშვის განვითარებასა და სახელმწიფოს განვითარებას შორის: ჩემი ბავშვის ორგანიზმიც და სახელმწიფოს ორგანიზმიც განვითარებას საჭიროებს, ამ განვითარებისათვის ორგანიზმი ტერიტორიას ითხოვს მხოლოდ განსხვავება შემდეგში... ჩვენი სამშობლო ორგანიზმის განვითარებისათვის საკმაოა მისი ტერიტორია, ხოლო ჩემი ბავშვის ორგანიზმის განვითარება ახალ ტერიტორიებს თხოულობს; აკენიდან პაწია „კრაოტზე“ გადადის, აქედან უფრო დიდზე და ასე... ამ შემთხვევაში ის ბოლშევიკია, თავის ორგანიზმის „განვითარებისათვის“ ბოლშევიკები ტერიტორიებს დღითი დღე იძენენ. როგორც საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობაც ხომ ბავშვია თავისი ჰასაკით, მისი ორგანიზმი თავის საზღვრებში ვითარდება და კიდევ მეტიც; ის თავის ტერიტორიაზე სხვას აძლევს ავტონომიას, როგორც მაგალითად „საბრიტანეთო ბათუმის“ ტერიტორიალური ავტონომია.

— ჰეი, თქვენ, ქალბატონო! შეუძახე მე თებრონეს ისე ხმა მაღლა, რომ საკმაოდ გამოვაფხიზლო.

— რა წაგეკიდა კაცო, რა დაგემართა, კიდევ არ დაგიძინებია, ღმერთო დამიფარე, ხომ არ გაგიყდი კაცო, თუ შენ არ გეძინება, მე ძილს, ნუ მიტეხ, იწამე ღმერთი!

კარგი, კარგი, დავიძინებ, მაგრამ ერთი მიპასუხე: რატომ არ აძლევ ბიჭიკოს ტერიტორიალურ ავტონომიას შენს ლოგინში, თუ გებრალდება, რომ „კრაოტში“ შევიწროებულა, ლოგინში დაიწვინე შენთან.

— კი, ბოშო, მაგრამ, როცა ბიჭიკო ჩემთან წევს, ძილი გატეხილი მაქვს: ვი თუ საბანი გადაძვრეს, ვი თუ ძირს ჩამოვარდეს მეთქი, ვშიშობ...

— მართალია, ვუპასუხე... მაშინვე მსგავსება წარმომიდგა. მართლაც და, სახელმწიფოს სუვერენობისათვის მავნებელი და ძილის გამტეხია ზოგი მცირე ერისათვის ტერიტორიალური ავტონომიის ბოძება, აი, მაგალითად: რაც საქართველომ ბრიტანეთს ტერიტორიალური ავტონომია უბოძა „საბრიტანეთო ბათუმის“ სახით მერმე შშვიდი ძილი არ ღირსებია მას, ვინ იცის, რა სიურპრიზებით არ გვიმასპინძლებდებიან იქიდან ყოველ დღე. მშვენიერი მსგავსება: ბავშვიც და „საბრიტანეთო ბათუმიც“ ძილის გამტეხია, განსხვავება: დედას ძილი უტყდება იმიტომ, რომ შვილს საბანი არ გადასძვრეს, ან ძირს არ ჩავარდეს, ხოლო საქართველო ამაზე არ ზრუნავს.

— „საბრიტანეთო ბათუმს გინდ საბანი აძვრეს, გინდ სულიც გასძვრეს, გინდ ზღვაშიც ჩავარდეს, მისთვის ის არ შეწუხდება... მართლაც, ძლიერ მეძინება მეც და ჩემსას უკვე აღგებია აღარ დამაძინებენ, ამიტომ დროა სადმე უშვილო ამხანაგთან წავიდე თვალის მოსატყუებლათ.

ღუკოლი.

### მთვარის ღენი.

ფანჯრიდან მთვარე ვნებით იბღვერის, სთვლემს არე მარე, დიღენჩობს ბული... შორს სადღაც თარზე გზნობით იმღერის, ბაათობს მტკვარზე ძველი აშული...  
უგზო უმიზნოთ ნაღული სევდა ცხოველი არის ვით ცეცხლი ქარზე,—  
წასრულის ლანდებს შემომისევდა თუ არა სცვლიდეს დღის საჩუქარზე...  
სპარსული ეშხით ითვრება სივრცე, ასტყდა დაფდაფი, ჰკრეს უზუნდარა! ბედის სიფლიდეს თავი მეც მივსცე,—  
მე თუ ვესწრაფი ვის რა უნდა-რა?!  
იბღვერის მთვარე ზირ მოპარსული, ავი წადილით დნება ვით ქარვა; სწყურია ისე, როგორც მკვდარს სული, როგორც ფუჭურელს,—უნდა მიქარვა...  
ფანჯარას ვხუთავ, ბნელი გუბდება. ბჭუტვა არ ისმის არც ასპიროზის, გულში ნაღველი აღუცდუღდება და ის კი არა, მთვარეზე რო ზის!...

ვინტარი.

# შახსეი--ვახსეი

ახუ

## Унтерофицерская жена сама себя высъкла.


### პირველ დღეს.



**კომუნისტური შაითანი** (ყურში ჩაჰმღერის აზერბეიჯანს „ღეონის“ ხმაზე) И будешь ты властитель мира, измѣнникъ Грузіи родной!


**აზერბეიჯანი.** (თავის გულში, შაითანს) შაითან-ჯან! დიდი ხანია გელოდი და როგორც იყო ველირსე შენს ქოსვლას (ხმა მაღლა, საქართველოს) ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ რომ, ეივალლა, ფლავი არ მიყვარს შენსავით. შენ მეტყვი: „აზერბეიჯან! მოკვდი ჩემთან“ და მე მოვკვდები! იაშასუნ გურჯისტან!

### მეორე დღეს.



**აზერბეიჯანი.** (ლენინს) ისე მიყვარხარ, ლენინ-ხან, ისე მიყვარხარ, რომ ფლავი არ მიყვარს შენსავით... თათრის ადათი ასეა: ეს მკორე ფეშქეში მოშირთმეფია—ერთი ცისტერნი ნავთი... შენ ოღონდ ბაქოში ჩამობრძანდი და ჩემი ფეშქეში მაშინ ნახე!

მესამე დღეს



აზერბეიჯანი (ლენინს) ჩამობრძანებულხარ კიდევ ბაქოში? მე ხომ დავპირდი, კარგ ფეშქევს მოგართვევ მეთქი: ინებე ეს გვირგვინი... ეხლა უნ ჩვენნი ფაღიშაპი ხარ!

მეოთხე დღეს



აზერბეიჯანი (ლენინის ხელმძღვანელობით შეხსენი-ვახსენის წესს ასრულებს. ლენინს) ფაღიშაპ. ლენინ-ხან! ეს ხოა უშენოთაც ვიცოდით! ამისი სწავლება ჩვენ არ გვეკირდება!  
 ლენინი. დაიკათ თავპირში მაგრათ, რომ ჩვენი დროშეებით გაწითლდეთ! იაშასუნ ყირმიზ აზერბეიჯან!

# გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის...

ნათქვამია: დრო—ოქროაო, და ამიტომ უნდა ვერიდებოდეთ დროს ზედ მეტი სიტყვების ხმარებას.

მაგრამ რას იზამ, როცა ძალათ გავღებენ ისეთ გარემოებაში, რომ ზედ მეტი სიტყვები იხმარო და იყაყანო.

წარსულ ხანაში რკ. გზის სადღურებზე ბევრჯერ შევსწრებივარ მგზავრებსა და მოლარეს შორის ატეხილ უსიამოვნებას. მგზავრი სთხოვდა ხაშურში წასასვლელ ბილეთს, მოლარე-კი შემოუძახებდა: მომშორდი, ნუ მაცდენ, მე არც ხაშური ვიცი და არც მისი ბილეთი მაქვსო.

მოლარე მართალი იყო: იმან ხაშური არ იცოდა, მაგრამ მგზავრი მაინც აღარ ეშვებოდა, რასაც ორივე მხრიდან მოსდევდა ლანძღვა გინება და აყალ-მაყალი.

ასევე ემართებოდათ ახალდაბაში წამსვლელთ... რამ გამოიწვია ეს გაუგებრობა?!

რამ და იმან, რომ დიდების მოყვარე ადამიანები იმას აღარ დასჯერდნენ, რომ ხალხის ხარჯით ფუფუნებით სცხოვრობდნენ და ამავე ხალხს ძალაუფლებათ დააკისრეს, რომ მათი სახელი მუდამ ეხსენებიათ. ამიტომ ხაშურის სადღურს დაარქვეს „მიხილილოვ“, ახალდაბისას „სუმბათოვ“.

რას იზამთ, როცა ადამიანს თან დაყოლილი აქვს სახელის დატოვების სურვილი. სახელისათვის იყო, რომ ჰეროსტრატემ დიანას ტაძარი დასწვა.

ზემო ხსენებულ ადამიანებს, კიდევ კარგი, რომ არაფერი დაუწვავთ.

ის ძველი დროც პატრონს ჩაბარდა. დღეს შეგიძლიათ ხაშურის, თუნდ ახალდაბის ბილეთი აიღოთ უდავიდარაბოთ (თუ დავიდარაბა ხურდა ფულის დაუბრუნებლობის გამო არ მოგიხდათ მოლარესთან).

იმავე წარსულ ხანაში აგრეთვე დროს დაკარგვას დი ყაყანს იწვევდა პეტროგრაღული დროთი საათის ხმარების შემოღებაც.

— საათის რომელია? შეკითხვებოდა ვინმე.

მეც ვეტყვადი რომელი საათიც იყო და თან ვაგებინებდი, რომ ჩემი საათი პეტროგრაღულ დროზე იყო მომართული.

— რისი პეტროგრაღი, რისი კაკალათხევი! ნუ შემასხარავები, თუ ღმერთი გწამს, რა დროს გგინია, შეჩქარება; სწორეთ მითხარ!...

მე იძულებული ვხდებოდი თავიდან ბოლომდე ამეხსნა, თუ რასთვის შემოიღეს პეტროგრაღული დროთი საათის ხმარება და ძლიერ ვარწმუნებდი ჩემი სიტყვების სიმართლემო.

ამ გვარი ყბელობა და განმარტების მიცემა მიხდებოდა დროს გაგების ყველა მსურველებთან და

ამასობაში შეკარგებოდა ძალიან დიდი დრო და მბეზრდებოდა თავი.

მართო მე არ ვიყავი ასეთ მდგომარეობაში, სადაც გაიხედავდით, ყველა მოქალაქე ყაყანებდა ძალა-უნებურათ პეტროგრაღულ საათის გამო.

ამასობაში იკარგებოდა ოქროს დრო.

დღეს, როგორც მოგხსენებთ პეტროგრაღი ჩამოგვშორდა და ამან ჩამოგვაშორა დროს დამკარგავი ზედ მეტი სიტყვების ხმარებაც.

მაგრამ ჩვენს მდაბიო ხალხში კიდევ არის ხმარებაში დარჩენილი დროს დამკარგავი სიტყვები. თუმცა ამ სიტყვების ხმარებას ჩვენ ძალათ არავინ გვახვევს თავზე და არც არაფერ საჭიროებას წარმოადგენს მისი ხმარება.

ამ ზედმეტ სიტყვებს დასავლეთ საქართველოში ლაპარაკის დროს ხშირათ ჩააკერებენ: — „ბატონო“, ანუ „ჩემო ბატონო“.

ქართლში კი ყოველ სიტყვაზე დაურთავენ გაქრანურებით: — „შენ ხარ ჩემი ბატონი“.

ეს უკანასკნელი უფრო ზედმეტ დროს დაკარგვას იწვევს.

ეს ზედმეტი სიტყვა ბატონ-ყმობის დროინდელი ნაშთია. ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში დღეს ყველანი თავისუფალ მოქალაქეებთ ვითვლივით. ეს შენც კარგათ იცი ჩემო მკითხველო, მაგრამ როცა ლაპარაკის დროს გიხსენიებენ: — „შენ ხარ ჩემი ბატონიო და შენ-კი სულგანაბული ყურს უჯდებ ეგ ხომ იმას ნიშნავს, რომ მას ეთანხმები, — ბატონობას იფერებ. წინაღმდეგ შემთხვევაში ეტყვი: მე შენი ბატონი არა ვარ და ამიტომ მაგ ზედ მეტ სიტყვებს ტყვილათ ნუ ხ.რჯავ და დროს ნუ მაკარგვინებთქო. ყველანი რომ ასე ჩამოვიზხოვდეთ ხსენებულ ადამიანებს გადავაჩვენებდით ზედ მეტ სიტყვების ხმარებას, თორემ დღეს ეს აღარაფერსა ჰავს. ზოგი მაინც ამ სატყვეებს ისე ხშირათ და მოსაბეზრებლათ ხმარობს, რომ ლალიონის მოთხრობის გმირი რაქვიანა მასთან მკრთალათ გამოჩნდებოდა. ასეთ ადამიანზე ჩვენში ასე იტყვიან ხოლმე: „ოტპუსკი“ უნდა აიღო და მავას ისე ელაპარაკო.

ერთმა ასეთმა ადამიანმა გუშინ წინ რკ. გზის ბაქანზე თვალი მომკრა და მომამახა:


— შენ გეძებდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, რადგანაც შენ ხარ ჩემი ბატონი, შენთან მომასწავლეს, შენ ხარ ჩემი ბატონი; ვექსილის დაწერა იცისო, შენ ხარ ჩემი ბატონი, მერე შენ ხარ ჩემი ბატონი, შენ რომ ვეღარ გნახე, შენ ხარ ჩემი ბატონი, სხვას დავაწერინე, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგრამ, შენ ხარ ჩემი ბატონი...

მე იმის დანარჩენ სიტყვებს ყური მოვუყრე, „ოტპუსკი“ არა მქონდა აღებული, და გავშორდის კი უკან ამეღვენა და მომამახოდა: მოიცადე, შენ ხარ ჩემი ბატონიო...

— არა ვარ შენი ბატონი—მეთქი, ერთი კი მივაძახე, შევერიე ხალხში, ვდურთე თავი, გავძვერ ვაგონების ქვეშ და გავეშურე ჩემს საქმეზე.

ასე რომ არ მოვქცეულიყავ, სამსახურს დავკარგავდი, და მე, როგორც სრულს პროლეტარს ცხოვრების სხვა სახსარიც აღარაფერი დამჩნებოდა ცოლ-შვილის შესანახათ. ფონოტეფო.

ხ ი ღ ი.



ეს ის ხილია, რუსეთსა და ოსმალეთს შორის რომ უნდა გასდონ კომუნისტებმა.

იგავ-არავი.

(უძღვნი ლ. შენგელიას)

სუსხიანი ზამთრის ღამე  
 გლეს ეძინა თავის ქოხში,  
 ცხვირსახოცში გახვეული  
 თავს ქვეშ ედო ცოტა გროში.  
 გაეგოთ ეს ყაჩაღებსა  
 და მონახეს მისი ბინა.  
 გლესხაც, თითქო ტანმა უგრძნო,  
 მთელი ღამე არ ეძინა.  
 დაუძახეს მას ხმა ტკბილათ:  
 — ძმაო, კარი გაგვიღეო,  
 შორი გზიდან მავალი ვართ,  
 ცის ქვეშა ვართ სამი დღეო.  
 მან მიუგო: მებრალებით  
 მალლა ღმერთმა იცოდესო,  
 მაგრამ კარს თქვენ ვერ გაგიღებთ

დაგამსგავსეთ ყაჩაღებსო.  
 უპასუხეს: რათა გვლანძღავ,  
 რით გვამსგავსე ყაჩაღებსო?  
 სიცივით რომ დავიხოცოთ  
 რაღას ეტყვი მაღალ ღმერთსო?  
 დაიჯერა გლესმა მათი,  
 და გაუღო ქოხის კარი;  
 ყაჩაღებიც შემოცვიდნენ,  
 გლეს დაატყდა მით თავზარი.  
 ნახა ავად რომ მოსტყუვდა  
 და ხსნაც არსაიდან არი,  
 მაგრამ სიტყვა მაინც უთხრა,  
 სიტყვა საქმის დასაღარი.  
 ოპო, გახსოვთ, რომ გითხარი  
 თქვენ ქურდ-ყაჩაღები ხართო?  
 თქვენ კი ეს არ დაიჯერეთ  
 და ამიღეთ მასხარათო!


სულგველი.

## ქუთაისი


## მუცუცა და ბაბუცა,

წერილსა, ხმელსა და გრძელ მუცუცას და მსუქანსა, დაბალსა, მრგვალ—მრგვალ ბაბუცას სწორეთ ერთსა და იმავე ღროს დაეკარგათ იმედი წვიმისა. რამდენი ხანია ელოდებიან და ზეცა მუდამ დღე ატყუებს: მოიღრუბლება, ჩამობნელდება, ქურქლეულობა მზათ არის წვიმის წყლის მოსაგროვებლათ, რომ უცებ დაუბერავს ქარი და ღრუბლები თფილისისაკენ მიჰქრან.

ერობის თავმჯდომარეს რომ შეეძლოს მუცუცასა და ბაბუცას ცოდვით ერთ ნაგლეჯ ღრუბელს არ გამოჟღერებდა სხვა ერობაში, მაგრამ ეს მის ძაღლონეს აღემატება და ამიტომაც, რაკი მოთმინება დაეკარგათ...




ხმელი მუცუცა და მსუქანი ბაბუცა მეთულუხის საძებრათ გაეშურენ.




დიდი რბენისა და ძებნის შემდეგ მუცუცამ და ბაბუცამ აღმოაჩინეს ერთათ ერთი მეთულუხი და თავ-თავისკენ გასწიეს.



გულჩვილი მეთულუხჩე სპირიდონი შერთობ შეაწუხა ამ გარემოებამ და ურჩია ორ მეტოქეს მორიგებით საქმის გათავება.




მოლაპარაკებამ ისეთი მშვიდობიანი სახე მიიღო, რომ მეთულუხჩე სპირიდონი იძულებული გახდა საქმეში ჩარეულიყო.



როდესაც წვრილი მუტუცა და მსხვილი ბაბუცა გონს მოვიდნენ, ძლიერ მადლობელი დარჩენ სპირიდონისა, რადგან სველი თმისა და ტანისამოსისაგან მთელი კოკა, წყალი გამოსწურეს. «ყვეს კაკალი გაგდებინე,» ისიც კარგიაო, — ამბობს ქართული ანდაზა.

# საშინელი საფრთხე.



ო. შლინტ

**მილიერანი.** დაუყონებლივ აცნობეთ რადიოთი ანტანტის ყველა წევრებს, რომ გერმანიაში საოცრად იზრდება მილიტარიზმი, რომელიც დიდ სარფთხეს უქაღის დასავლეთს და რომ საჭიროა სრული განიარაღება გერმანიისა.

## გურული სცენა.

**თეკლე** — ოქში! ოქში! ოქში! ჰაუ, ჰო, ჰო, ჰო, ჰო!

აქშიო! აქშიო! ე, ბიჭო, მათია, გეიხედე შენი დასაფსები თვალებით, პალასიე შეჩვენებულის ქათმები ჩასულა ბახჩაში და... არიქა, მიარტყი, მიაყარე რაც კი მოგებორკოს ხელში, დაამტერიე მაგ ჰირის გასაწყვეტებს ფეხები... გეიქეცი, ბიჭო, გეიქეცი... მეიცვალე ფეხი, ჩემზე უფრო ვერ გეიქეცი, შენ წყუელო? (თეკლე ქაქანით მირბის ბახჩისკენ ქათმების გადასარეკათ და საშინლად იწყევლებს). ოი, მამა ზეციერო ღმერთო, საშინელი გააჩინე მაგენის პატრონისას, რაღა მაგენმა შამომითენ მე და სიმწრით შეკავებული და დათესილი ბახჩა გამიოხრენ... (დაუშენს ქათმებს რაც ხელში მოყვება)... ჰაა, შენ სატურევე, ჰაა, შენ საქორევე, ჰაა, თქვენ გავიჩთა საშინელი ჰირი და გაგწყვიტა, გაგძურა პატრონიანებ ერთ დღეს. ნენა, ნენა, რაღა დამაქცია ამ ჰირის დასაწყვეტლებმა, წელი და გული მივაწყვიტე ამის შემოღობვას, რა არ ვქენი, წვრილი წკნელითაც კი შემოვღობე, კიდევ მოფარჩხე, კიდევ მოცაძე, მარა, რომ ვერ ვიპატიე, არიქნა? რაღა დევიქეცი, რაღა დევიღუპე!.. ვოი, საშინელი თქვენი პატრონისას და იმან გადა-

გიტანა თქვენ და თქვენი უხეირო პატრონი! აააჰ! ასე, აი! თქვენ შეჩვენებულეზო.

**პალასია.** (ესმის თეკლეს წყევლა, ვერ მოითმენს და ლობეზე მოდგება) რა წეგეკიდა, შენ შეჩვენებულო, ცენტერაძის მალაზონსაფით რომ მომადეკი ამ დილას და მიწყველი ოჯახს, გველი დაგაუდა მაგ ენაზე, რამისიმწარე ენა შენ გაქ... ჯვარი დამწერე შენ როკაპო, შენ კულიანო, ნუ მიწყველი ოჯახს და ერთ კეკალა ბიჭს, თვარა, გახურებული შანთით დაგდაღავ, შენ კულიანო, შენ...

**თეკლე!** — რაღა, კიდევ შენ მედავები, შენ, ღვთის პირიდან წასულო? დამაქციე, დამაფსე და მეტი აფერი? ვაი თქვენ გაგიწყრა ღმერთი, და რაღაი ახლა, ყოლიფერი შენი რეიზაა წუწკი, რეიზა ვერ აკავენს ვერც ლობერი და ვერც რამე, ვერც შენს ძროხებს და ვერც შენს ქათმებს? შენდა სანაწეროთ ხომ არ ვარ ქალო გაჩენილი! შენ ახლა არა კაცი გიჩანა თვალში, რაცხა შენმა უხეირო ყაზილარმა ეშმაკობით და მამაძაღლობით ქლაქში ორი კაპეიკი იშონა და გინდებიან რომ შეგვკამოთ... მარა, არ მოგესრება იგი დღეი... დამაყენე ჩემდა, მე ჩემი ოფლით ვცხოვრობ და მომახმარე ჩემი, თვარა არ ვიცი, საშინელ საქმეს გიზამთ... რას გავს ჩემი ბახჩა შენი ქათმების გადაკიდული. დამწყერიე იგენი თვარა, ერთს არ გაუშობ ცოცხალს...

**პალასია**—რა გინდა, დედაკაცო, შენ ჩემ ბიჭთან, რა შენი ხელ წამოსაკრავია იგი, შენ ღმერთ გამწყლარო, რა შეგიკაზა, რა წავართვა შენ იმან რომ შეასვე შენი როკაბი კბილები, ჯვარი დამიწერე შენ ქარჩხაო ხუთეუფ თითებით თვარა... მე... შენ...

**თეკლე**—რა მიქნა? მე რა უნდა მიქნას, მე რა მიქვს, თვარა, არც მე დამზოგავს, როცა რამე მიქონდა, სანამდი წანალღეტით არ გაძღებოდით, ჩემსას ვეღო სულ, ჭამდა და სუამდა... ახლა, თავის დაკვრასაც არ კადრულობს, ისე ვადიდკავდა... აღდომას სახტარზე შორიდან დამიკანტურა თავი ბუზიან ცხენივით...

**პალასია**.—აბა, შენმა სიცოცხლემ, ახლა მოგეხვევოდა და მაგ ძლიბლიან თვალებს ამოგიკოცნიდა!

**თეკლე**—(ველარ მოითმენს, წამოუხსომს ხელს ქვებს და მიაყრის ღობესაკენ, ისიც იქიდან ქვებს უშენს, მაგრამ ერთმანეთს ვერ ახვედრებენ).—ძლიბლიანი თვალეზიო?! მე შენ გაუურებივ სეირს, შენ კახა, შენ ფრახო, აბა დამაგრდი მაქანე, აგიც, შენ, აბა, შენ, აგიც შენ, აგიც შენ, შენ თუ არ გაგიტეხე თავი არ ვიქნები ქალი...

**პალასია**—ვის გუუტებ თსეს შენ კულიანო, შენ როკაპო, თუ არ ჩაგაძალდე, არ ვიქნები ქალი, აბა მომიცე მაქანე, აბა, გაჩერდი ერთი მაქანე...

**მაკრინე**. (მაკრინე თეკლეს აბრეშუმის მოზიბარება, მოვარდება და გააზავებს მათ. თეკლეს—)

— წამოდი ბეჩა აქეთ, მოშორდი, ქალო, მაგის ამბავი არ იცი, მაგამ მასე იცის თუ პაწე ორი კაპეიკი იშონა, ღმერთი არ ახსოვს...

**თეკლე**. (მოშორდება.) მაგას გუუწყრა ღმერთი და რაღაი ახლა, რომ არ მოხვთა მაგ კახას ერთი ქვაი ჩემს ჯინზე, თვარა ამუუდუღებდი ტეინს, მარა რაღაი ახლა, ძაღლის ბედი აქ მაგ კახას და იგია... ძლიბლიანი რავა დამიძახა მე მაგან, ახლა ვარ ძლიბლიანი მაგის ყაზილარიზა, როცა აღარ ვჭირივარ? თავი დაგიკრაო! მაგას კი წავარდა თავი და ტანი, თავი დამიკრა, კი არა, უნდა მოსულიყო, ჩემი გამოზდილია მაგი ყაზილარი, უნდა გადამზოვოდა, გადგეკოცნე, და სახლშიც დევეპაიჯებოე... თავი დაგიკრაო! თავს საცეხველეს კი აკანტურებს დელეში, კაცს კი გული და მარიფათი უნდა თვარა... ჩამომივარდებით კიღომ ხელში, მაგი არაფერია, მასე არმათ ნაშონი არამათ წავა მალე...

**მაკრინე**.—კაი, ბეჩა, ახლა, კაი, რეიზა ისტკელეს გულს, კი გუუწორდები შენ მაგას და ახლა რა გინდა... ბეჩა ჭიის თესლი მოსულა კომპერატიაზე და გამუართუათ ერთი კაროპა...

**თეკლე**—.. ქე გამოვართვი ქალო, დღეს ვიყავი იქინე, სამასი მანეთი უნდა გავიხადოთ, ექვსი მისხალია, თუ ეყო ჩენი ბელოე...

**მაკრინე**.—უი, შენი ჭირიმე, რაღა გვიჭირს, თუ ღმერთმა ქნა და გვიკეთდა, მოგვხედავს ღმერთი... იქნება გვედრისოს ბეჩა, რაცხა, პაწე ტანის დასაფარავი... ბეჩა, შენ გეტყვი აგერ და, გამოსაცვლელი აფერი მაქ, იოპკა მიქონდა ერთი და თლად შემომამგჯა ტანზე, კარში გამოსასვლელი აფერი მაქ... ეგება თითო პერანგი მოგვიწიოს ჩვენ და ჩვენ ბაღნებს... აი, ღმერთო... მოგვხედე, გვიკეთე აბრეშუმი...

**თეკლე**... აბა, შენ იცი მაკრინე, ქალო, ბელოლაზე ვასვლა მე არ შემძლია, და სხვაფერ ყველაფრამდი მოგეხმარები: ჩელტეს დაღობვა იქნება, ჩაჩიეს თუ ჩეჩებს ვაკეთება.

**მაკრინე**... კი, ჩემო თეკლე, ნუ გეშინია, სულ ბელოეს წვერში ვიქნები, ნუ გეშინია კაბების დახვევას არ შეუშინდე, რა მაქ დასახვევი... ახლა წავალ და ლობიოს წყალს ჩუუხხამ, შედილობით... შედილობით.

ლუკაიეს ობოლი.

## მესტეგირული.

აბა ელია მელია შემოკრბა ტურა-მგელია ძილსა დაგიფრთხობ სუყველას ამბავი ზუგდიდელია. მინდა გავიცნოთ ყოველი უსწორო გზითა მსვლელია, (ყველანი ჭირმა წაილო საქმეთა ავთა მქნელია) ვაჭარი, ნააზნაური, დიაკონი თუ მღვდელია, ექიმი მებაქარენი. (ბონებით ჯიბე სქელია) ესფერნი ერობაში, თუ უხმოსნო, ცრემლთა მღვრელია,

ესერნი უკმაყოფილო თავით და თვალთ ბნელია, კომისარობა უქრთამოთ აბა რა საკადრელია, გლენებთან ასი მანეთი ფასობს გირვანქა ყველია, ქალაქის თვითმართველობა უთავოთ წყლის მნაყველია,

თავი თუ ქალაქს ეკუთვნის, ფეხი ქალებში მსვლელია, თუ მეეწონა ქალები რეკვიზიციის მქნელია, ქალიშვილებსა უქრმობით ცრემლი სდით უშრობელია,

სხვა და სხვა დაბრკოლებანი არ ახალია ძველია... სახალხო მასწავლებელი თავით-ფეხამდე ჭრელია, როს თავი ჯიბეს მოუფხანს გაფიცვის მომხდენელია, რუსეთის ლენინისტები უთუოთ საფრთხობელია, მათ წინააღმდეგ ირაზმის ჩენი მხედრობა მთელია, ერობის საავადმყოფო მოკლილთა სართობელია წესები პარამხანული იქა, (ოთახი ბნელია)

ავთამყოფებსა შიმშილით სინსილა გამოელია ყვირიანი: გვშია და გეცია, სადარის გამკითხველია, გეზათელი.

## მ ი ს ი ა.

ტეტია მოდგა მუტრუკით კარზე,  
 — მაწონი და რძე, მაწონი და რძე!..  
 საღაღური ხარ ბიჭო?—ლისელი.  
 ამ დროს ჩაგვივლის გვერდს ინგლისელი.  
 — ე ვინ რა არი, აქ დადის სულა?  
 რა ჯურისაა, საით მოსულა?  
 მისია!?!.. ქალები სხვისია,  
 მაწონიც საზი... რადრო ნისია!—  
 პ...აცე! —მაღაკო!.. სასოლოლაკ—  
 დაუყვა გზასა და ასე ივლისს  
 მაწონი და რძე, დეკემბერს, ივლისს.

„სათაბაღას“ რედაქტორის  
საუურადღებოთ.

თქვენი ჟურნალის უკანასკნელ ნომერში ვინმე „შებრეკილი“-ს ლექსია მოთავსებული. ამ ფსევდონიმით 1917 წლის „ეშმაკის მატარაბი“ მე ვთანამშრომლობდი ქუთაისიდან. სხვისი ფსევდონიმის მითვისება არ არის საკადრისი, მით უმეტეს ამ ფსევდონიმით ლანძღვა იმ ჟურნალის რომლის თანამშრომელი მე ვიყავი და ეხლაც დიდ პატივს ვცემ მის ღირსებას.

პატივისცემით შებრეკილი.

## ინგლისი და კომუნისტები.



კომუნისტები. იმ ფეხს, ევროპაში რომ დაუბჯენია, ჩვენ ვერაფერს ვაგნებთ. მოდი ეს ფეხი მოვხე-  
 რხოთ, აზიაში რომ დაუდგამს.